



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011754294112320

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 312308

09 / სექტემბერი / 2020 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის ჩაბმის შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 332977/17; **თარიღი:** 05.09.2020 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:** შორენა გელაშვილის (პირადი ნომერი 11001012298) წარმომადგენელი ეკატერინა აბაშიძე (პირადი ნომერი 47001033089).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებები:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020376808-03 (06.07.2020) და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020376808-05 (06.08.2020) გადაწყვეტილებები.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020376808-03 (06.07.2020) და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020376808-05 (06.08.2020) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ბორჯომი, დაბა წალვერი, აღმაშენებლის ქ. №56 .

№ 332977/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**1.** მიღებულ იქნეს წარმოებაში შორენა გელაშვილის (პირადი ნომერი 11001012298) წარმომადგენლის ეკატერინა აბაშიძის (პირადი ნომერი 47001033089) №332977/17 (05.09.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.

2. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს ვიქტორ გელაშვილი (პირადი ნომერი 11001024779).

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ოფისსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს.

4. დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: სანაპიროს ქ. №2) და ბორჯომის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. ბორჯომი, ერეკლეს ქუჩა № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე